თემატური საკითხები სამეანო საქმის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის

საორიენტაციო კურსი

1. პროფესიის ისტორია, ბებიაქალის ინსტიტუტის განვითარება. საბებიო განათლება, აშშ -სა და ევროპის ქვეყნებში საბებიო საქმიანობის რეგულირების პრინციპები.
2. სტატისტიკის საფუძვლები. ძირითადი მაჩვენებლები (ფერტილობის და შობადობის კოეფიციენტები, დედათა სიკვდილობის, მკვდრადშობადობის, პერინატალური და ნეონატალური სიკვდილობის მაჩვენებლები) – შეფასება, მნიშვნელობა, შედარება სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან.
3. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზემოთ დასახელებულ მაჩვენებლებზე დაბადების რეგისტრაცია
4. ჯანდაცვა და მომსახურების ხელშეწყობა. ეროვნული ჯანდაცვის პოლიტიკა. ჯანდაცვის მართვის ორგანოები. დედათა და ბავშვთა დაცვის მიზნით ქვეყანაში არსებული სამედიცინო და სოციალური სერვისები. პროფესიული ორგანიზაციები, მათი როლი, ფუნქცია, ჯანდაცვის პოლიტიკაზე გავლენისა და ხელშეწყობის უნარი/შესაძლებლობა.
5. საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი ძალისხმევა უსაფრთხო დედობის, ასევე დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესების საკითხებთან დაკავშირებით.
6. ქალთა პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, თანამშრომლობის განვითარება სხვადასხვა ორგანიზაციებთან. საბებიო საქმიანობა 21-ე საუკუნეში.
7. კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა. ადამიანის უფლებათა შესახებ და ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ დეკლარაციების ზოგადი მიმოხილვა. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიმოხილვა.
8. ინფორმირებული არჩევანი და თანხმობა. ორსულისა და მეძუძური დედის უფლებები. ოჯახის დახმარების სერვისები საქართველოში.
9. ეთიკა. განსხვავება მორალს და ეთიკას შორის ეთიკის მნიშვნელობა ბებიაქალთა საქმიანობაში. დილემის გადაწყვეტის გზები ბებიაქალის ეთიკის (პროფესიული ეთიკის) საერთაშორისო კოდექსი.

10. მართვა. ორგანიზაციები და ჯანმრთელობის ნაციონალური სერვისების კონტექსტი. დეფინაციები და განსხვავებები ტერმინოლოგიაში. ლიდერობა და მენეჯმენტი, თეორიები.
11. გენდერი და რასა. ლიდერობის და მენეჯმენტის სტილი. გადაწყვეტილების მიღების პროცესი.
12. უსაფრთხოება და კარიერული განვითარება. ხარისხის გაუმჯობესების ციკლი. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება.